№ 198. სექტემბრის 13, ხუთშაბათი. 1866—1884 სექტემბრის 13, ხუთშაბათი. № 198

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროების“ ფასი სექტემბრის 1-დამ წლის დამლევამდე 4 მანათი.

არწრუნისეული თეატრი

კვირას, სექტემბრის 16-ს.

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ეჭვით ავადმყოფი

კომედია 3 მოქმედ. თხზ. მოლიერისა.

II

ბიძიასთან გამოხუმრება

ვოდევილი 1 მოქმედ. გადმოკ. თ. რაფ. ერისთავისაგან.

მოთამაშენი: მ.მ. საფაროვი—აბაშიძისა, მ. მძინარიშვილისა, ვ. მელიქიშვილისა, ქ. ყიფიანი, დ. აწყურელი, ნ. თომაშვილი, კ. მაქსიმიძე, ვ. პეტრიძე და სხვ.

ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი 8 საათზედ.

## პასუხად ბ. ურბნელს

(სოფლის სამოსამართლო წესის ნაკლულევანების შესახებ.)

თბილისი, სექტემბრის 13-ს.

ჩვენმა მცირე შენიშვნამ სოფლის სამოსამართლო წესის შესახებ გამოიწვია ვრცელი წერილი ბ. ნ. ურბნელისა, რომელზედაც პასუხის მიცემას დაუყოვნებლივ დავპირდით. თუმცა ბ. ურბნელის შენიშვნას ჩვენის ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნა ეტყობა და ერთი დასკვნა მეორეს ლოგიკურად მისდევს, მაგრამ უნდა შევნიშნოთ პატივცემულს ავტორს, რომ მას უმთავრესი მუხლი ცვლილებისა უკუ-დაუყენებია და ის კი, რაც გაკვრით არის პროექტში მოხსენებული და რაც შეადგენს მხოლოდ შედეგს უმთავრესი ცვლილებისას, უმთავრესს მუხლად მიუღია.

ის ცვლილება, რომელსაც ჩვენ განსაკუთრებით თანა-ვუგრძენით, სოფლის საზოგადოება[illegible] ათას-ათას კვამლად დაყოფა კი [illegible] არის, არის ის, რომ ყოველივე შრომა ღირსეულად ჯილდოვდებოდეს და ეს დაჯილდოვება უფრო შეჰფერის სოფლის მოსამართლეს, რომლის შრომაც მეტის-მეტად ადვილი შრომა არ არის. რაკი სოფლის მოსამართლეს ჯამაგირი ექნება, მუქთად სამსახურს იგი სოფელს ველარ დააყვედრებს და სოფელსაც ნება ექნება მოსთხოვოს მას მეტი განვითარება, მეტი ზნეობრივი ღირსება. ამ უმთავრესს საგანს ცვლილებისას არ უარ-ჰყოფს თვით ბ. ურბნელი და სოფლის მოსამართლეების დაჯილდოვებას თითონაც თანაუგრძნობს, მაგრამ კი არ გვაჩვენებს საშუალებას, როგორ უნდა მოხდეს ეს დაჯილდოვება, ან რა წყაროდამ უნდა შესდგეს მოსამართლისათვის საჭირო ჯამაგირი. თვით ბ. ურბნელმა კარგად იცის, რომ ეხლანდელი წვრილ-წვრილი სოფლის საზოგადოებანი ვერ შეაგროვებენ იმოდენა ფულს, რომ თვალსაჩინო ჯილდოს შეადგენდეს იგი მოსამართლისათვის.

აი ამ საბუთით ვხელმძღვანელობდით, როდესაც ვთქვით, რომ დიდ-დიდ სოფლის საზოგადოებად დაყოფა მთელის მაზრისა საჭიროა, თუ გვინდა, რომ მოსამართლეს ჯამაგირის წყარო გაუჩნდესო. ამასაც გვიყაბულებს ბ. ურბნელი, რომ დიდ საზოგადოებაში უფრო ადვილია არჩევა სინიდისიანის და გაგებულის მოსამართლისა, ვიდრე მცირეში.

მაგრამ ჩვენი მოპირდაპირე დიდ საზოგადოებაში ორს სამძიმო ნაკლულევანებასა ჰხედავს: ჯერ ერთი ესა, რომ მოსამართლეს არ შეეძლება ისე მარტივად განსაჯოს მისდამი მინდობილი საქმეები, როგორც ეხლანდელნი მოსამართლენი სჯიან და არც ისე დაწვრილებით ეცოდინება თავის სამოსამართლო რაიონიო; ამას გარდა, ამოდენა ხალხის გასამართლებლად მოსამართლეს დასჭირდება მთელი შტატი მოხელეთა, სოფლის სასამართლო—კანცელიარიას დაემზგავსება და პატრიარხალური წესის მაგიერად ფორმალური დამყარდებაო.

ეს რომ ასე იყოს, ჩვენ პირველნი უარ-ვყოფდით ახალს ცვლილებას და ისევ ნაკლულევანებით სავსე ძველს სოფლის სამართალს ვარჩევდით, მაგრამ, ჩვენის აზრით, დიდს საზოგადოებას აუცილებლად ის ჭირი როდი სჭირს, რომ ფორმალიზმი გაძლიერდეს და სიმარტივე მოსპოს.

ათასი კვამლი სიტყვამ მოიტანა, თორემ არავის არა ჰქონია აზრად, რომ რომელსამე საზოგადოებაში უეჭველად ათასი კვამლი იყოს, არც მეტი და არც ნაკლები. ახალის პროექტის ძალით სოფლის საზოგადოება იმ სიდიდე იქნება, როგორც კი ადგილ-მდებარეობის გარემოება ნებას მისცემს. სადაც დიდი სოფლებია, იქ ერთი და ორი შეადგენს ამ საზოგადოებას და სადაც წვრილ-წვრილებია იქ რამდენიმე სოფელი ერთად დაკავშირდება და რომელსამე სოფელს—ცენტრს—გარშემო შემოეხვევა.

ჩვენს ქვეყანაში თითქმის ყველგან ადგილ-მდებარეობა ნებას აძლევს ასე საქმის მოწყობისას. ამ გვარად ერთი-ერთმანერთზედ დაახლოებულმა სოფლებმა ყოველთვის კარგად იციან ერთი-ერთმანეთის გარემოება და ჩვენ შემცდარად მიგვაჩნია ის აზრი, ვითომ მოსამართლეს გაუჭირდება ამბისა და გარემოების გაგება თავის ახლო მეზობლებისა, რომელნიც იქნება სამსა და ოთხს ვერსზე შორს არა სცხოვრობენ. რაც შეეხება ფორმალიზმის გავრცელებას, დიდი საზოგადოება კი არ უწყობს ამას ხელსა, ხელს უწყობს უფრო სხვა გარემოება, რომელზედაც ლაპარაკი აქ სხვა-და-სხვა მიზეზით საადვილოდ არ მიგვაჩნია. უწინდელ დროში სოფლის საზოგადოებას კი არა, მთელს მაზრას, მთელს ქვეყანას განაგებდენ მოსამართლენი ისე, რომ ერთი ნაკუწი ქაღალდიც არ დასჭირებოდათ. პატრიარხალური წესი, რომელიც ჩვენს ეხლანდელს სოფლის საზოგადოებაში არსებობს, ისევე ადვილად იარსებებს დიდ საზოგადოებაშიაც და თამამად შეგვიძლიან განმეორება, რომ ფორმალიზმი სრულიად არ არის აუცილებელი კუთვნილება დიდი სამოსამართლო რაიონისა.

ბ. ურბნელი განსაკუთრებით უარ-ჰყოფს ერთს მუხლს ახალის პროექტისას, რომელიც შეეხება მოსამართლის ამორჩევას. ჩვენა ვთქვით, რომ კარგი იქნება, გლეხ-კაცობასა ჰქონდეს უფლება მოსამართლის ამორჩევისა სხვა წოდების წევრთა შორისაც. ბ. ურბნელი სხვაფრივ ჰფიქრობს; იმის აზრით, ეს მუხლი სრულიად მოაპირქვავებს კეთილს განზრახვას ახალის პროექტისას, თუ კი ეს კეთილი განზრახვა მართლა არსებობს. გლეხებს ისე ნაკლებად აქვთ შეგნებული და შეთვისებული ალრჩევითი პრინციპი, რომ ამ უფლებას უეჭველად ხელში ჩაუგდებენ რომელსამე გავლენიან ფეოდალს, რომელიც ამ ახალის თანამდებობის შეძენით უმეტესს ღონეს მოიპოვებს თავისი გავლენა ბოროტად მოიხმაროსო. ეს აზრი ყოვლად საფუძვლიანია და ჩვენ ჩვენს წერილშიაც ვგრძნობდით ამას, როდესაც ვამბობდით, რომ არ უნდა მიეცეთ გლეხთა უფლება იმისთანა პირის ამორჩევისა, რომელსაც რაიმე ეკონომიური დამოკიდებულება აქვს მათთან. მაშ რაღა საჭიროა ეს უფლებაო, იქნება სთქვას ბ. ურბნელმა, თუკი გლეხნი თავიანთ ახლო მეზობელ ფეოდალს ვერ ამოირჩევენო? ჩვენი ინტელიგენცია სოფლებში არა სცხოვრებს და ვილა არის იქ იმისთანა, რომელზედაც ღირდეს, რომ ხალხმა ამორჩევის დროს ჯოხი მიიშვიროსო.

ამაზედ ბ. ურბნელს ძველის ანდაზით უნდა ვუპასუხოთ: თუ კაცი წყალში არ ჩავიდა, ცურვას ვერასოდეს ვერ ისწავლის. ვიდრე სოფელში საინტელიგენციო საქმე არ გაჩნდება, ინტელიგენციაც იქ არ წავა და თუ ეხლა ჩვენი ინტელიგენცია სოფლად არ მიდის, არ მიდის იმიტომ, რომ თავის საკბილო საქმეს ვერა შოობს. მაგრამ, თუ მას სამოსამართლო ასპარეზისათვის გზა გაეხსნა, მაშინ სულ სხვა იქნება. ათასში ერთგან გაბნეულნი სოფლის მასწავლებელნი მართლა კარგს სამსახურს უწევენ გლეხკაცობას და თუ მათს რაზმს სოფლის მოსამართლეების რაზმი გვერდში ამოუდგა, მაშინ გაფართოვდება წრე სოფლის ინტელიგენციისა, რომელმაც უნდა უწინამძღვროს სოფელს და წარმატება მისცეს მას. თვითონ ბ. ურბნელი ამბობს, რომ რუსეთში სოფლად მრავალნი ახალ-გაზრდანი მიდიან და ხალხს ფრიად დიდს სამსახურს უწევენო; იქ, იმას აზრით, სულ სხვა არის,—მაგრამ რად არის იქ სხვა? იმიტომ, რომ ერობაა შემოღებული, რომელიც დას-დასობით ჰგზავნის სოფლად სწავლა-მიღებულს და განვითარებულს ექიმებს, ბებიებს, მასწავლებლებს და სხვათა. ბ. ურბნელი უნდა დარწმუნებული იყოს, რომ თუ ჩვენის ინტელიგენციისათვისაც საქმე გამოჩნდა სოფლად, ისიც ნაკლების გულ-მოდგინეობით არ შეუდგება ხალხის სამსახურს და—რომ ავიღოთ ის შემთხვევა, რომელზედაც აქა გვაქვს ლაპარაკი,—მოსამართლედ ამორჩეული, რომელსამე სასწავლებელში კურს-შესრულებული ყმაწვილი კაცი, თუ სწავლასთან სინიდისიც შესაფერი აქვს, უფრო მომეტებულს სარგებლობას მოუტანს ხალხს, უფრო სამართლიანად განსჯის მას, მეტადრე, როცა გაიცნობს ხალხის ყოფა-ცხოვრებას, მის ავსა და კარგს, ვიდრე თვით გლეხთა შორის ამორჩეული „სუდია“.

ჩვენ რომ ვთქვით, კარგი იქნება—გლეხებს შეეძლოთ სხვა წოდების წევრთა ამორჩევაც მოსამართლედაო, ნამდვილად ინტელიგენცია გვყავდა სახეში და არა ის ფეოდალები, რომელთა წინააღმდეგაც ალიჭურვა ბ. ურბნელი...

როგორც ჰხედავს მკითხველი, ჩვენა და ბ. ურბნელი ბევრში ვე-

თანხმებით ერთმანეთს, ბევრში არა. ეს ყოველთვის აუცილებელია იქ, სადაც რომელსამე საგანს აწონდაწონა ეჭირვება და ყოველ-მხრივი გასინჯვა. სოფლის სამოსამართლო წესის რიგიანი მოწყობა ისეთი შესანიშნავი და ყურადღების ღირსი საგანია, რომ, რაც მეტი საფუძვლიანი რამ დაიწერება ამაზე, მით უკეთესია. ამ გვარ შებაასების დროს გამოირკვევა ჭეშმარიტება და იქნება ის ნაკლულევანება, რომელსაც ერთი მხარე მხოლოდ ბუნდად ჰხედავდა, მეორემ მაჩვენებელი მინით გაჩხრიკოს და ქვეყანას მის წუნი თვალსაჩინოდ დაანახვოს. ღმერთმა ჰქნას, რომ ყოველივე ამისთანა მძიმე საგანმა გამოიწვიოს აზრთა ერთიერთმანეთთან შეტაკება და ამით ქვეყანამ თვისის თვალით დაინახოს და განსაჯოს ის საგნები, რომელნიც ჩვეულებრივ «მიწერილობებში» იწერებიან და მხოლოდ გარდაწყვეტის შემდეგ მოულოდნელად შემოღებულ იქმნებიან ხოლმე...

## შინაური ქრონიკა.

— ჩვენ მივაგენით გაგონებით ორს კარგად შენახულს სურათს საქართველოს ეკლესიის ორის მნათობისას: ანტონ I კათოლიკოზისას და ვარლაამ მიტროპოლიტისას; პირველი სურათი ანტონ კათალიკოზისა ჰქონია მღვდელს ალექსანდრე ბარნოვს და მეორე საქართველოს ეგზარხოსის სასახლის დაბლა სახლებშია დაცული.

— ჩვენ ვნახეთ რვეული ქართული წერისათვის, შედგენილი ბ. ვ. ზაზიჩვაძისაგან იმ „დედნის“ შეთანხმებით, რომელიც მან დაბეჭდა ამ ერთის თვის წინად. რვეული სუფთად და ლამაზად არის ლიტოგრაფიაში გამოსული, მხოლოდ ქაღალდი ცოტა მდარეა და ფასიც (თითო რვეულში ორი თაბახია), 5 კაპ., ცოტა არ იყოს, ძვირია.

— წარსულს ორშაბათს, სექტემბრის 10-ს, სხვათა შორის, შემდეგი საქმეები განიხილა ქალაქის საბჭომ: საქმე პირველ საქალაქო სესხის მდგომარეობაზედ, რომელიც 750,000 მან. შეადგენს. მოხსენება კომისიისა პროექტითურთ საქმეთ წარმოების წესზე საბჭოში. წინადადება გუბერნატორისა იმის შესახებ, რომ პრიკაზის ქალაქელ მოვალეებს ცოტაოდენი შეღავათი მიეცეთ. გარდაწყვეტილება საქალაქო საქმეებისათვის დადგენილის საგუბერნიო დაწესებულებისა (губернское по городскимъ дѣламъ присутствіе) პირველ-დაწყებით სკოლებზე... და სხვ.

— დაბა ცხინვალიდგან გვატყობინებენ, რომ იქ დაარსებულა საავადმყოფო ორის განყოფილებით—ქალებისთვის და კაცებისთვის. დაუნიშნავთ სასოფლო ექიმი თავის ფერშლებით და სწავლული ბებია. «ამ გვარი დაწყობილობა დიდად სასარგებლო არისო», იწერება კორესპონდენტი, მაგრამ ამ საავადმყოფოს გახსნას ერთი უხერხულობა დაჰყვაო. როგორც ექიმმა, აგრეთვე დანარჩენმა მასთან მყოფმა მოსამსახურეებმა ქართული ენა არ იციან და ავადმყოფებს თავიანთ სატკივარზედ ისე დაწვრილებით ვერ გამოჰკითხავენო“.

ამას გარდა, კორესპონდენტი ამბობს, რომ საავადმყოფოს თითო განყოფილებაში ორ-ორი კრაოტი იქნება და ჩვენ ეს რიცხვი ძალიან მცირედ მიგვაჩნია მთელის მაზრისათვისაო. სანამ ეს საავადმყოფო გაიხსნებოდა, ფერშალი ბ. ძუცოვი ხშირად უსასყიდლოდ სწამლობდა ღარიბ ხალხსა და ამ გვარის საქციელით ყველას თანაგრძნობა და სიყვარული დაიმსახურაო.

— «დროების» მკითხველებს უკვე შეტყობილი აქვსთ, რომ ბათუმის ბეგებმა დავა გამოაცხადეს ბათუმის იმ მიწების შესახებ, რომელნიც მმართებლობისაგან სხვა-და-სხვა პირებს დაურიგდათ. ეხლა ვტყობულობთ, რომ საჩივრის პირები მოპასუხეთ ჩაჰბარდათ. ბეგების მხრივ საქმის დამცველად ბ. სტეფანოვი არის არჩეული.

— დიდი ლიახვის ხეობიდგან (ოსეთში) გვატყობინებენ, რომ ამას წინად დაწყებული გზა უკვე გაუთავებიათ და სრულიად მზად არის მისვლა-მოსვლისათვისაო. ამ გვარი გზების გაკეთება საზოგადოდ ყველა ჩვენის მთის ადგილებში დიდს საჭიროებას შეადგენს და მეტი არ იქმნებოდა, რომ მაზრის მმართველებს ამ საგნისთვის განსაკუთრებითი ყურადღება მიექციათ.

— მთავარ-მართებელი თავადი დონდუკოვ-ძორსაკოვი თავის მეუღლით ცოტა ხნით ბაქოში წაბძანდენ. უკან დაბრუნების დროს ელიზავეტოპოლშიაც შეივლიან.

—

შეცდომის გასწორება. ჩვენის გაზეთის გუშინ-წინდელს № -ში შეცდომით სწერია: «გომბორის გზა თელავიდამ ბოჭორმამდის გააკეთესო»,—ბოჭორმის მაგივრად, უჯარმა უნდა იყოს.

## ხმა სვანეთიდგან.

სადადიანო სვანეთის სამს საზოგადოებას: ლენტეხს, ჩოლურს და ლაშხეთს ბევრი ზარალი მისცეს წრეულს მინდვრის თაგვებმა, რომელთაც, მეტი თუ არა, ნახევრად მაინც წაუხდინეს ხალხს ნამუშევარი. თაგვები განსაკუთრებით ეტანებოდენ ჭვავს (Рожь) და პურს, თუმცა ხელ-უხლებელი, ქერს გარდა, სხვა გვარი ჭირნახული და ნამუშევარიც არ დაუტოვებიათ, მაგალითად, შავი ქადი, სიმინდი, ცერცვი და სხვა. გული მიკვდებოდა, როდესაც ივნისის 24-ს საზოგადოდ მიმავალი თავისუფალს სვანეთში ვხედავდი ლენტეხის საზოგადოების ყანებს, რომლებშიაც ნამუშევრის ცარიელი ღერები-ღა იყვნენ აყირავებული და ერთს თაველს (თავთავს) ვერა ვხედავდი. ჩემის თვალით არ მინახავს ეს პურის მტერი თაგვი, მაგრამ ადგილობრივ ამ ნაირად ამიწერეს: თაგვი ცერის ოდენააო, წვეტიანი და მოგრძო დინგით. ნამუშევრის ღერს ორი და სამი თაგვი აჰყვება თურმე თაველის ძირამდე; იქ ღერის და თაველის შესაერთებელ ადგილას პირს მოჰკიდებენ, ჩამოეკოწიალებიან, ჩამოღუნავენ მიწამდე ღერს, თაველს მოსწყვეტენ და უთაველო ღერი ისევ აეშვება ზეზე. პირველად ლენტეხის საზოგადოებაში გაჩენილა ეს თაგვი; აქედამ შეჰყოლია ჩოლურის და ლაშხეთის საზოგადოებამდე (სამივე საზოგადოებანი ცხენის-წლის ხეობაში მდებარობენ). ლენტეხთან შედარებით ჩოლურის და ლაშხეთის საზოგადოებას ნაკლები ზარალი მისცა თაგვმა, რადგან მათ, თაგვების გაჩენამდე, რაოდენიმე ჭირნახულის მომკა მოასწრეს.

მინდვრის თაგვი სვანეთში იშვიათი მოვლენაა; ღრმა მოხუცებულებმა მიამბეს, რომ მათს ხსოვნაში ეს მეორედ არის, რომ თაგვი ჩნდება სვანეთში: პირველად 50—60 წლის წინად და მეორედაც წრეულს. ხალხი თაგვების გაჩენას განგებას აწერს, რომელიც, ესე იგი, განგება სჯის მას რაღაც მისთვის გაუგებარ ცოდვებისათვის. ენგურის ხეობაში მდებარე სვანეთში (თავისუფალი და საბატონო სვანეთი) თაგვი არ გაჩენილა; იქ თაგვის გაჩენა არავის ახსოვს უწინაც; მაგრამ თაგვზე არა ნაკლები ზარალი მოუტანეს ხალხს განუწყვეტელმა წვიმებმა, თოვლმა და კოხმა. სვანები ამბობენ, რომ ამ მდგომარე 1884 წელს ჩვენში ზაფხული არ ყოფილაო და მართალსაც ამბობენ: სვანეთში, ნამეტურ თავისუფალში, ზაფხულის თვეებად ითვლებიან ივლისი და აგვისტო. ორივე ეს თვე წვიმით და თოვლით დადგენ და მითვე გათავდენ. ივლისის 1, 2 და 7-ს უშგულის საზოგადოებაში, რომელიც თავისუფალ სვანეთში ძევს, ენგურის სათაურთან, (7000 ფუტის სიმაღლე უჭირავს) სოფლად მოვიდა თოვლი, როდესაც ნამუშევარი ჯერ კიდევ ჰყინტლად იყო. დანარჩენი რიცხვები ამ თვისა წვიმებით წავიდა. აგვისტოს 19, 20, 27 და 28 ისევ თოვლი მოვიდა ზემოხსენებულ საზოგადოებაში, ნამუშევარი მიწას მიატყეპა, დაჰკრა უნდილი (აოდა) და გააფუჭა. ამ გვარი ტაროსი იყო მიზეზი, რომ მკა, რომელიც რიგით აგვისტოს 15-ს უნდა დაწყებულიყო, სექტემბრის 1-საც არ დაწყებულა. ბულახის საზოგადოებაში სამი სოფელი: ლახარი, ჟამუში და გულშკიერი დაკოხა, ისე, რომ ზოგიერთი ყანები «სათოფავად» გაუხდათ. ესევე ბედი ეწია კოხისაგან ძალის საზოგადოების სამს სოფელს: დავბერს, ლალხორს და საცოდავ ხალდეს; დანარჩენ საზოგადოებებში, სადაც ავდრებს დაასწრეს მკა, ნამუშევარი ყანებში დაულპათ «ხარდნებზე.»

ავდრიანობამ მეორე დიდი ზარალი მოსცა კიდევ სვანებს: მოთიბული თივა გაუმხმარი და სახლში მოუტანელი დარჩა ზოგან და, არ იცის კაცმა, რითი გამოკვებავენ პირუტყვს საწყალი სვანები, ნამეტურ უშგულის და ძალის საზოგადოება, რომელთათვისაც პირუტყვი ერთ უპირველეს სახსარს შეადგენს ცხოვრებისას. მაგალითად, ჩემ მიერ შეკრებილ ნამდვილ ცნობებიდამ აღმოჩნდა, რომ 1883 წელს, უშგულის საზოგადოებას, სადაც 67 მეკომური ირიცხება, გაუყიდნია ოთხ-ფეხი საქონელი 2613 მანეთის სალირალი. აქედამ სჩანს, რომ ხალხს, რომელსაც ფული არ მოეძევება, საქონელიც თუ გაუწყდა, ცუდი მდგომარეობა მოელის. საზოგადოდ ეკონომიურის მხრით ბოლოს ხანებში სვანებიც ძლიერ დაეცენ... ამას შესახებ სხვა დროსთვის დარჩეს საუბარი.

თავისუფალი სვანი.

სექტემბრის 8-ს
ქ. ქუთაისი.

## „დროების“ კორესპონდენციები

ს. ვეჯინი, (სიღნაღის მაზრა) სექტემბრის 4-ს. სოფელ ვეჯინის იმ ნაწილში, რომელსაც უწოდებენ კექად, აგვისტოს დამლევს მოხდა შესაზარი უბედურება. შუაღლის შემდეგ, 3 საათზედ, ერთ სახლს გაუჩნდა ცეცხლი; ამავე დროს ამოვარდა ქარი და წაეკიდა სხვა სახლებსაც. საათ ნახევარს გადაიწვა ცხრამეტი სახლი. საზარელ სურათს წარმოადგენს ეხლა ის ადგილი, სადაც იყვნენ გაშენებულნი დამწვარი სახლები: მთელი ეს ადგილი დაფარულია ნაცრით და ნახშირით, მხოლოდ აქა-იქა მოჩანან შავად გატუსული და თითქმის დანახშირებული ბოძები; გარშემო ახვევია ფოთლებ შეტრუსული და ზოგან ტოტებ დამწვარი სხვა-და სხვა ხეხილები.

ასეთი უბედურება ამ ორი წლის წინად სოფელ ძარდენახსაც ეწვია, მაგრამ მაშინ სხვა ნაირად იყო საქმე. ძარდანახში თუმცა სახლები ბლომად (25-დე) დაიწვა, მაგრამ პატრონები შინ იმყოფებოდენ და, რაც მოასწრეს, გამოზიდეს სახლებიდგან; ვეჯინელებს კი არაფერი არა გამოუტანიათ-რა სახლებიდგან,—რაც რამე იყო შიგ, სულ მთლად ცეცხლმა იმსხვერპლა. სახლების პატრონებიც და გარეშე ხალხიც, ვისაც უნდა ეშველნა, იმ დროს [illegible]ლოებზედ იყვნენ და კალოები კი ჩვენში 2—3 ვერსის მანძილზედ შორავენ სოფელს. ამას გარდა, თვით სახლებიც დაკეტილნი იყვნენ. დაზარალებულმა ხალხმა მხოლოდ ის გადაარჩინა, რაც მუშაობის დროს ტანთ ეცვა. პოლიციის ჩინოვნიკმა მეორე დღეს ცნობაში მოიყვანა ზარალი. აღმოჩნდა 3700 მანათამ-

დე. ქარდანახელ ცეცხლით დაზარალებულთ დიდი შემწეობა მისცა ეხლანდელმა მაზრის უფროსმა; დღეს მეჯინელებიც მოიმედენი არიან, რომ მათაც არ დაავდებს უნუგეშოდ.

გარდა ამისა, ჩვენს ახლო მდებარე სოფელ ზურჯაანში იმყოფება პატარა წრე უბედურებაში მყოფი კაცისათვის გულ-შემატკივართა. ეს წრე ხან-დისხან შეიკრიბება ხოლმე გარეშე სოფლებიდგანაც და თვიანთი წარმოდგენებით, თან საზოგადოებას დროს ატარებინებენ და თან შველიან უეცარი შემთხვევით გაჭირვებაში ჩავარდნილს კაცს; მაგალითებრ, ამას წინად, დიდმარხვაში გადაიწვა ერთი ოჯახი იმავე სახით, როგორც მეჯინელები; კნ. ა. ა. ან—ის თაოსნობით გაიმართა წარმოდგენა ს. ზურჯაანში, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა ძმებმა თ. აბ—ებმა, ქ. ზ—ისამ და ძმადათ ქ—ებმა. წარმოდგენიდგან შემოვიდა 120 მანეთამდე, და გადაეცა დაზარალებულს ოჯახს. საინტერესო იყო წერილი, რომელიც მოუვიდათ მოთამაშეთ სოფლის საზოგადოებისაგან, და რომელშიაც იგი გულწრფელს მადლობას უძღვნიდა მოთამაშეთ თავისი დაზარალებული წევრის შველისათვის.

იმედია, რომ იგივე წრე ყმაწვილი ხალხისა გამართავს წარმოდგენებს დაზარალებულთ მეჯინელთ სასარგებლოდაც. დიდი იმედი გვაქვს, რომ, რაც უნდა წარმოადგინონ, მაყურებელნი ბევრნი დაესწრობიან, თითონაც ისიამოვნებენ და შემოსავალსაც გააბევრებენ.

---

სოფ. ორტყევი, (გორის მაზრა) სექტემბრის 1-ს. «კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ» აღარ ინება სრული ხარჯის გაწევა ჩვენი სკოლებისათვის და ამ დღეებში მოუვიდა ჩვენს ბლაღოჩინს ქაღალდი, რომლითაც აუწყებდენ მას, რათა შეეკრიბა ყველა თავის მრევლის ხალხი და გამოეცხადებინა მათთვის, უნდათ, თუ არა თავიანთ ხარჯით სკოლების შენახვა. მარიამობისთვის 16 ბლაღოჩინმა მ. ფილიშვილმა შეჰკრიბა ორტყევლები ეკლესიის წინ; აქ ერთმა ახალგაზრდამ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა ოსურ ენაზე სწავლა-განათლების მნიშვნელობაზე, რომლის შემდეგ ბლაღოჩინმა გამოუცხადა ხალხს მოწერილობის შინაარსი; ხალხი მოეცალა ბლაღოჩინს და ცალკედ დაიწყო ლაპარაკი, თუ რა ეპასუხნა.

უნდა ვაუწყო მკითხველებს, რომ სკოლა იმყოფებოდა წინედ სოფელ ორტყევში და მხოლოდ შემდგომ პიროვნულმა ანგარიშებმა გარდაატანინეს იგი ს. ვანათში, და ეხლა ორტყევლებმა ცოტა ხნის ერთმანეთში ბჭობის შემდგომ მოახსენეს მამა ბლაღოჩინს შემდეგი: თუ მოწერილობა ესე ამბობს, რომ მოხარჯედ გახდენო უეჭველად, ესე იგი მოწერილობა ოფიციალურია, მაშინ იგინი არ საჭიროებენ ვანათელებთან სკოლა იქონიონ და შეუძლიანთ ახლო-მახლო ოსურ სოფლებთან ერთად (მაგ. ჭერიეთან, ზულისთან და სხვა) გამართონ და შეინახონ კიდეც, და თუ მოწერილობა ნებას გვაძლევს უარის თქმისათვის, ჩვენ სკოლა აღარ გვინდა. ამას ამბობდენ კრებაშიაც და შემდეგ სახლებშიაც.

ამასთანავე უნდა ვაუწყო მკითხველებს, რომ ვანათის სკოლის მასწავლებელი ბ. სამაგელოვი სხვაგან გარდავიდა და ეხლა ვანათში (თუ ხარჯის მიცემას მორიგდებიან მცხოვრებლები) მასწავლებლად ინიშნება ერთი ახალგაზრდა.

გ. ლიახველი.

---

სიღნაღი. წრეულ სიღნაღის მაზრაში საზოგადოდ ძლიერ მცირე მოსავალი მოვიდა. თუმცა თვალით კარგი სჩანდა, მაგრამ გამოსავალი კი არა ჰქონდარა; კალოში რომ ჩაუშლიდენ ძნას, ეგონათ, რამდენიმე საცალო გამოვაო, მაგრამ ან გამოვიდა ორი და ანუ სამი კოდი, მაშინ როდესაც იმდენ ძნას უნდა გამოსულიყო თხუთმეტიდან ოც კოდამდის; ამ სახით მიწის მწარმოებელნი დარჩნენ უსარჩოვონი და ძლიერ დაღონებულნი არიან. მართლაცა და რამდენი რამა აქვთ გარდასახადი...

ამდენს გარდასახადთან ბერების შენახვაც კი გლეხს კაცს დააწვა კისერზედ, რაზედაც ხშირად ამბობენ: ჩვენ ჩვენი საქმე გაგვჭირვებია და ესენი რაღას ჩამოგვეკიდნენო? ბერები ყოველს ზაფხულს მოვლენ და დაივლიან კალოებზედ და დიდ ძალ პურს შეჰკრებენ ხოლმე. არის თუ არა მოსავალი, იმათ უარს ვერ ეტყვიან, უნდა მისცენ, მაგრამ ვაი იმ მიცემას, რომ ისინი აძლევენ; პირით და ხელით აძლევენ და გულით კი, ვინ იცის, რას ეუბნებიან. მე თითონ ვარ ერთის მაგალითის მნახველი. ჩემ კალოს გვერდზე ერთ კარგ შეძლებულ გლეხ-კაცს აქვს კალო, სადაც წრეულ მოვიდა ბერი სათხოვნელად, ჩვეულებისამებრ, დაიწყო ლოცვა და თხოვნა. გლეხმა უთხრა, — მამაო, წლეულ მაინც თავი დაგვანებეთ, რადგანაც მცირე მოსავალი მოვიდა. ბერმა მიუგო: ბატონო! ჩვენის გაკითხვისათვის ღმერთი ერთს ათასად შეგმატებს.—შარშან ორი კოდი მივართვი ბერებს, მაგრამ წლეულ აი დაინახეთ, მიუშვირა სხვაზე თითი, გლეხმა,— ამის მეტი არ მომივიდა.— ბატონო! მე ვაკურთხებ, რომ მაგ მცირე ხვავს იმდენი ბარაქა მიეცეს, უთხრა ბერმა, რომ ბევრთან გაიწიოს. გლეხმა იჭვნეულად თავი გაიქნია. რა საკვირველია მადლიანი ბრძანებით და თქვენს ნაკურთხს ძლიერ ბარაქა მიეცემა, მაგრამ გთხოვთ ჩვენ კი დაგვეხსნათ და თქვენს მონასტერში აკურთხოთ, რომ იქ დაედოს ბარაქა; ნუ თუ ერთი პურიც არა გაქვსთ, თქვე დალოცვილო, რომ ის აკურთხოთ და მთელის წლის სარჩოდ გარდაგექცეთ?

ბერმა თავი ჩაღუნა და პასუხი ვეღარა მისცა. შემდგომ თუმცა განაგრძელეს საუბარი და ერთი კოდი პურიც მისცა, მაგრამ რომ არ მიელო ბერს, ის ერჩივნა. ბერი რომ განშორდა, მე დამიწყო საუბარი: ნეტავი ერთი წერა-კითხვა ვიცოდე, რომ მაგათზედ დამეწერა რამე და მთავრობისათვის მიმერთმია,—განა მართლა მაგათ აკლიათ სარჩო?—თუ არ აკლდეთ, ვუთხარი მე, მაშ გიჟები ხომ არ არიან, რომ ტყუილად დაიარონ.—ეჰ! შენც მაგათი მხარე გიჭირავს, თორემ მაგათ მთავრობისაგან ჯამაგირი აქვსთ, მონასტრებს საკუთარი ზვრები უჭირავთ, რომელთა გამოსავალიც ეყოფათ—ღვინოთაც და ზვრის შესამუშავებლადაც; აგრეთვე აქვთ წისქვილი, რომლის მინდი ეყოფათ პურადა, და რამდენიმე რამ სხვა. თუ არა ჰყოფნით, ბერმა შიმშილიც უნდა მოითმინოს და სიტიტვლეც, თორემ, ღმერთმა ხომ იცის, მაგათ არა აკლიათ რა და შემატებისათვის დაიარებიან. ნეტავი ეს გამაგებინა, მთავრობისაგან აქვსთ ნება მიცემული, თუ არა? მე ვუთხარი: რასაკვირველია, უწინამძღვროდ მაგათ წასვლა არსად შეუძლიანთ. მაგათი წინამძღვარი მთავრობას არ შეადგენსო, მითხრა გლეხმა და თუ მთავრობისაგან აქვსთ ნება, განაგრძო მან, ძლიერ კარგი იქნება, რომ აღუკრძალოს ჩამოთხოვნა, რადგანაც უმაგათოდაც ძრიელ ბევრი გარდასახადი გვაწევს კისერზეო.

ასე განსაჯა თავის უწვრთნელი ჭკუითა ჩემმა ნაცნობმა და მეზობელმა გლეხმა; ხოლო სამართლიანია მისი სჯა, თუ არა,—ეს მკითხველმა გარდასწყვიტოს.

ა. ა. ბ.

---

## სხვა-და-სხვა ამბავი

— თუ რა გასაკვირველი ხალხია ამერიკელები, ესა სჩანს კაპიტანი ჯონ ტრეინოვის შემდეგი მოქმედებისაგან. ივლისის 7-ს ეს გასაოცარი იანკი წასულა უბრალო მეთევზეების ნავით ნიუჯერსეიდგან, რომელიც შეერთებულს შტატებშია, იმ აზრით, რომ ამ ნავით გაიაროს მთლად ატლანტიის ოკეანე. იმის ნავი სიგძით 17 ფუტია და ექვსი თვის საგძალი წაუღია თან. მარტო ერთი ძაღლი წაუყვანია ამხანაგად—იმის მეტი სხვა არავინა ჰყავს თურმე თან. იმედი ჰქონდა, რომ ას დღეში გაივლიდა ოკეანეს, მაგრამ ის კი არა ჰქონდა გადაწყვეტილი, თუ რომელს ევროპიულს ნავთსადგურს მისდგომოდა. თუ ამ გასაოცარს კაცს არ უნდა მოატყუოს ამერიკა, რომელიც მოწიწებით ადევნებს თვალ-ყურს მისს მოქმედებას, თუ გზაში არ გადაჰყვა რომელიმე ცეცხლის გემზე და შემდეგ ისევ თავის ნავში, როდესაც მიადგება ევროპის ნაპირს,— მაშინ მისი ამგვარი მოგზაურობა ისეთი უგუნური საქმე იქნება, როგორც არაოდეს თვით ამერიკელებსაც კი არ მოსვლიათ თავში.

— ნემეცურს გაზეთებში მოყვანილია ერთი ფრიად საინტერესო ამბავი, რომელიც საფრანგეთისა და პრუსიის ომის დროს მომხდარა. ქალაქს პიტივიეში, როდესაც ნემცებმა დაიპყრეს იგი, ერთი თექვსმეტის წლის ქალი, ჟულიეტტა დოდიუ, ტელეგრაფში თურმე მსახურობდა. ეს ახალ-გაზრდა ქალი, ქალაქის აღების შემდეგ, დადგა თურმე თავის დედითურთ ერთს პატარა ოთახში, რომლის ახლოც ტელეგრაფის მავთული იყო გაბმული. უკანასკნელმა გარემოებამ აფიქრებინა მას, რომ ტელეგრაფი თავის ოთახში გამოეყვანა, მოკლე მავთულის შემწეობით, გაემართნა აპარატი და მტრის ტელეგრამები დაეჭირა. ყმაწვილმა ქალმა შეასრულა თავისი განზრახვა. მაგრამ რაღაცა შემთხვევით მალე გამოაშკარავდა მისი მოქმედება და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს მას. როდესაც ნემცების ჯარების სარდალმა პრინცმა ფრიდრიხ-კარლმა ჰკითხა—იცოდით თქვენ, რა სასტიკად ისჯებიან ჯაშუშები,—ქალმა ამპარტავნულად და თამამად მიუგო: «მე ფრანცუზი ქალი ვარ». მალე დროებით შერიგება მოხდა და ამის წყალობით აღარ დასაჯეს და გაანთავისუფლეს იგი ტუსაღობიდგან. მარშალმა მაკ-მაჰონმა ამ გვარი თავ-განწირულობისა და გმირობისათვის მისცა ჟულიეტტა დოდიუს უმაღლესი ჯილდო—ჯვარი საპატიო ლეგიონისა. ამ ჟამად ჟულიეტტა დოდიუ მსახურობს თურმე მონტრეილში ისევ ტელეგრაფის სტანციაზედ.

— მეცხრამეტე საუკუნეში უდიდესი ქარიშხალი იქნება 1887 წ. სექტემბრის 19-ს, როგორც ამტკიცებს ასტრონომიის პროფესორი ვიზზინსი, რომელმაც იწინასწარმეტყველა 1883 წ. 9 მარტის და 1884 წ. 24 იანვრის ქარი-შხალები. პროფესორის ვიზზინსის გამოანგარიშებით ეს ქარიშხალი სექტემბრის 20-ს, შუადღის უკან, ძრიელ დიდი იქნება და მიწის-ძვრასაც მოახდენს. მიწის-ძვრას გაიგებენ კალიფორნიაში და დასავლეთ ევროპაში. 1886 წ. სექტემბრის 19-მდინ კიდევ იქნება ძლიერი ქარიშხალი: 1884 წ. სექტემბრის 23 და ოქტომბრის 20.22, 1885 წ. მარტის 18-20, 1886 წ. სექტემბრის 29-30 და 1887 წ. 26-29.

— კასელში ამ ჟამად ჰყიდიან თურმე ელექტრონულს კრაოტს მაღვიძებელს, რომელიც, როცა უნდა, აღვიძებს მასზე მძინარეს, და, თუ მას უნდა კიდევ განაგრძოს ძილი, კრაოტი აღარ ასვენებს და შეუბრალებლად აყენებს მას ლოგინიდგან. აი როგორ ჰსდება ეს პირველად, რამდენიმე ხნის განმავლობაში, ჰრეკს ორი ზარი და ინთება ლამპა, რომელიც კრაოტთანა დგას. თუ ამან ვერა გააწყობა, მაშინ უხილავი მალა აცლის მძინარეს თავიდამ ბალიშს; შემდეგ მუსიკა დაუკრავს და ზედ ელექტრონული სარეკლების რეკაც მოჰყვება. როგორც უკანასკნელი გამომაფხიზლებელი საშუალებას, კრაოტის წინ გა-

მოჩნდება ფიცარი, რომელსაც ზედ ეწერა „ახლავე ხედე! ვინც ამ ბრძანებას არ დაემორჩილება, მაშინათვე დაისჯება — ქიუტის მძინარს მრავლ უჩვენდე გადამობრძანებს კრიალი მაშ.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

სექტემბრის 11-ს

პეტერბურგი. იუსტიციის სამინისტრო თხოულობს 1885 წ. «სმეტის» გარე კრედიტის დანიშვნას ციმბირის სამოსამართლო დაწესებულებათა შესაცვლელად.

კიევი: უნივერსიტეტის კარებზედ და კლინიკის შესავალში გამოცხადებულია, რომ იმ უწესობათა გამო, რომელნიც მოხდენაქ, ურილობა აღარ შეიძლება, და თუ კიდევ მოხდა ურილობა, ყველა მასზე დამწრე სტუდენტები დაუყოვნებლივ გამოირიცხებიან უნივერსიტეტიდგან; მეორე განცხადებიდგან კიდევ სჩანს, რომ სწავლა 15 სექტემბერზე ადრე არ დაიწყება უნივერსიტეტში და ამ რიცხვამდინ აღკრძალულია სტუდენტების უნივერსიტეტში მისვლა.

ბრიუსელი. სასკოლო კანონის დამტკიცებამ გუშინ ძლიერი მღელვარება გამოიწვია, მაგრამ უწესობა კი არა მომხდარა-რა; ხალხი, რომელიც სიმღერით და ყვირილით ქუჩებში დაიარებოდა, პოლიციამ განფანტა; გაზ. „ნაციონალ“-ის რედაქტორი განდევნეს წერილისათვის, რომელიც რესპუბლიკას თხოულობდა ბელგიაში.

სექტემბრის 12

პეტერბურგი. ცელა რკინის გზების გარდაწყვეტილების გამო, მოსკოვო-კიევისა და ვორონეჟ-კიევსის გარდა, საქონლის მეტის ფასით გადატანის შესახებ, განზრახვა აქვთ, რომ მომავალის გამოცხადებამდამ დაწყებული საქონელი ჯოგებით აღარ მიდიოდეს ქალაქებში.

ბრიუსელი. გუშინ, 1830 წ. მომხდარის რევოლიუციის დღეს, ხელ ახლად განმეორდნენ დემონსტრაციები. გაზ. «პატრიოტ»-ის რედაქციის წინ მოგროვილი ხალხი ჟანდარმებმა გაფანტა; ინოვეს სოციალისტების პარტიისაგან დაბეჭდილი ფურცლები, რომელშიაც ხალხს ურჩევენ მიემხრნენ ახლად დაარსებულს სარესპუბლიკო ლიგას.

ვენა. აქ ამტკიცებენ რომ, რუსეთი მიემხრო იმ სახემწიფოებს, რომელნიც წინააღმდეგობას ხადებენ ეგვიპტის ვალის გადახდის შეჩერებისა გამო.

ბერლინი. დიუსელდორფელ მუშების დეპუტაციამ მიართვა იმპერატორს ვილჰელმს სამადლობელო ადრესი იმ მეცადინეობისათვის, რომელსაც იგი იჩენს მუშების ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად. იმპერატორმა ადრესის მიღების დროს ბრძანა, რომ მას ყოველთვის არ უმადლებენ იმ ცდილობისათვის, რომელსაც საგნად აქვს ხალხის კეთილ-დღეობა; ამისათვის მით უმეტეს მასიამოვნებს იმ წოდების მიერ მადლობის გამოცხადება, რომლის კეთილ-დღეობაც განსაკუთრებულს საზრუნავს საგანს შეადგენს ჩემთვისაო.


## განცხადებანი

ახლად გახსნილი

სამხანიკო ქარხანა

„სოფლის მეურნე“

გადმოვიდა ახალს სადგურში გოლოვინის პროსპექტზე № 11, სახლი რეიტერისა (სადაც უწინ იყო «Общество Бережливости»). (5—4)

[illegible] რკინის კრაოტები.



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, სამარილე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, ზირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თუნგები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფუხები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბავშო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფი, საბნები, ჩუღქები, წინდები, სუფრები, სალჭატკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, ვამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—49)

არწრუნისეულ ქარვასლაში

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—7)

თბილისის ქალაქის გამგეობასა

სურს იქირაოს სადგური 6—8 ოთახამდე,

ორის სარდაფით (კლადოვაია), სამზარეულოთი, ორქვაბიანი ქურით და რუსული ფეჩით; უნდა იყოს აგრეთვე საჯინიბო სამის სული საქონლისათვის და ეზო სარაიით. ეს სადგური საჭიროა ერთის დაწესებულებისათვის; ფასი 750 მანათამდე წელიწადში. ვისაც ამისთანა სადგური აქვს, სთხოვენ მიმართოს გამგეობის კანცელიარიაში დილის 8 საათიდამ 1 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირისა და უქმე დღეებისა. (3—3)

გამოვიდა და იყიდება

ქართული წერის დედანი

ვ. გაბიჩვაძისა.

გამოცემული ე. კაციტაძისაგან.

ნაწილი პირველი.

ფასი ყველგან ორი შაური. ვინც ათ ეგზემპლიარზე მეტს იყიდის, ან დაიბარებს, ეგზემპლიარი რვა კაპეიკად დაეთმობა და ფოსტითაც გაეგზავნება.

საწყობი: თბილისში, ჩარკვიანის წიგნის მაღაზია, ქუთაისში, ი. მურადოვთან. დედანთან იყიდება ლითოგრაფიაში დაბეჭდილი ქართული წერის რვეულებიც თითო შაურად (3—1)

ვაჭრობა სადებავებით

კავკასიის ამხანაგობისა (გრაფის ქუჩა მუზეუმის პირდაპირ.)

**სადებავები** ხმელი და თხელი შეზავებული ზეთით.

**ლაქი** ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი **ხანგალი** (კისტი) და ყოველნაირი კუთვნილებანი სადებავით ვაჭრობისა—აქვე შეიძლება იშოვონ ერთგვარი **თხელი ნივთიერება**, რომელიც სინოტიეს აცილებს თავიდამ. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული (Enduit hydrofuge)—მიუკარებელია სინოტიესათვის.

სხვა ქალაქებიდამ მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუკვინებლად. (70—56)

გამოვიდა

ცალკე წიგნად

სამგვარი სიყვარული

მოთხრობა

აკაკი წერეთლისა

(„დროების“ რედაქციის გამოცემა.)

ფასი 30 კაპ.

(ვინც ოც ეგზემპლიარზედ მეტს იყიდის ერთბაშად, 10% დაეთმობა.)

წიგნი ისყიდება **თბილისში** გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, შაკერდოვის სააგენტოში და ჩარკვიანის მაღაზიაში. **ქუთაისში** ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსე ნათაძესთან, თელავში, საზოგადოების დეპოში. ერთბაშად ყიდვა შეიძლება აგრეთვე «დროების» რედაქციაშიაც. (10—6)


Доз. ценз. Тифлисъ, 12 Сентября 1884 г. სტამბა ძ. კალანდაძის და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.